ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კომუნისტური შრომის ზეიმზე გიწვევთ, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 აპრილი, შაბათი, 1988 წ.
№ 74 (9741) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# იშრიალე, ხეივანო...

„უფრო ამაღელვებელი დღე არ მახსოვს. საქართველოს სპორტსმენებს ზრუნვა-ყურადღება არასდროს მოგვკლებია, მაგრამ იმან, რაც დღეს განვიცადეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა", — წარსულში ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ვახტანგ ბალავაძემ ამ სიტყვებით რესპუბლიკის ყველა სპორტსმენის გულისთქმა გამოხატა. ქვემოთ ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით სპორტსმენთა შთაბეჭდილებებს.

...თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, ხალხთა სიმრავლე არავის უკვირს, მაგრამ იმ დღეს გამვლელები ნაბიჯს ანელებდნენ და ცნობისმოყვარე თვალით ათვალიერებდნენ შეკრებილთ. ხუმრობა ხომ არ არის ერთად თავმოყრილი იხილო ქართული და საბჭოთა სპორტის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები, ისინი, ვის სპორტულ გმირობასაც არაერთხელ მოუნიჭებია ყოველი ჩვენგანისთვის უსაზღვრო სიხარული. საქვეყნოდ ცნობილ სპორტსმენთა ეს თავყრილობა საქართველოს კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი პოლიტიკური და კულტურულ-სპორტული ღონისძიებების პროგრამით იყო გათვალისწინებული. ჩვენი სპორტის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. ზეიმმა შემდეგ დიღმის ტყე-პარკში გადაინაცვლა. „ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ აქ რამდენიმე ხნის წინათ ვრცელი ადგილი გამოიყო სპორტული დიდების ხეივნის გასაშენებლად. დარგეს კიდეც სიმბოლური ხე — მუხა. და აი, ხეივანში ჩემპიონთა სახელობითი ხეების დარგვის ჯერიც დადგა. ძნელია გადმოსცე ის სიხარული, რომელსაც იმ დღეს ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების და ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზატორთა სახეებზე ამოიკითხავდით.

თუმცა, აქ უმჯობესია სიტყვა თავად ჩემპიონებს მივცეთ:

**ვიქტორ სანეევი:** „მიხარია, რომ ვეტერან სპორტსმენებს ესოდენ დიდი პატივი დაგვდეს. დარწმუნებული ვარ, ამ ხეივანში კვლავ და კვლავ მოვლენ ჩემპიონები და მოკრძალებით დარგავენ თავიანთ ხეს. ახალგაზრდა თაობებისთვის ხეივანი პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ თვალსაჩინო კერადაც უნდა იქცეს".

**მირიან ცალქალამანიძე:** „სპორტული დიდების ხეივანი თავისთავად დიდი საჩუქარია თითოეული ჩვენგანისთვის და, საერთოდ, ქართული სპორტისთვის. მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ოცნება რეალობად აქცია. დღეს ყველანი უსაზღვროდ ბედნიერი ვართ. ამ ღონისძიებამ ერთმანეთს შეგვახვედრა თაობები, ვეტერანებს კი შესაძლებლობა მოგვეცა კვლავ დავმდგარიყავით ერთმანეთის გვერდით, გაგვეხსენებინა წარსული.

ნჱ. მე-4 ვა









**სურათებზე:** ვ. ი. ლენინის ძეგლთან მიაქვთ გვირგვინი; მედალზე ამოკვეთილი წარწერაა ყველა ხეზე, რომლებიც ჩემპიონებმა დარგეს ხეივანში; აბრა სპორტული დიდების ხეივნის შესასვლელთან; სპორტული დიდების ხეივანში გამართული ცერემონიალის მონაწილეები.

# კოოპერატორებს — მხარდაჭერა

კოოპერატივი ფეხს იკიდებს ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. გამონაკლისი არც ფიზკულტურა და სპორტი გახლავთ. სულ ახლახან გაზეთმა „იზვესტიამ" საგანგებოდ აღნიშნა ქვეყნის ის ქალაქები, სადაც კოოპერატორები თავიანთ სამსახურს სთავაზობენ ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატური მეცადინეობის მსურველებს. ამ ქალაქებს შორის დასახელებულია თბილისიც, სადაც წარმატებით მუშაობს რამდენიმე სპორტული კოოპერატივი.

სხვა დარგში არ ვიცით, მაგრამ ჩვენს სფეროში რომ სპორტული კოოპერატივი განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი საქმეა, ეს უდავოა. კოოპერატორებმა, როგორც უნარიანმა მეურნეებმა, ადრე უმოქმედო სპორტულ ბაზებს აშკარად დაუბრუნეს სიცოცხლე და მოსახლეობის სამსახურში ჩააყენეს. მკითხველს ალბათ ახსოვს, შარშან რუბრიკით „გთავაზობთ წინადადებას!" ჩვენმა გაზეთმა დღის წესრიგში დააყენა სასკოლო საცურაო აუზების ენთუზიასტი კოოპერატორებისთვის გადაცემის საკითხი. ამ წინადადებას ყველა ინსტანციაში დაუჭირეს მხარი, კოოპერატორებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს და... უმოქმედო საცურაო აუზები ამუშავდა. ჩვენი აზრით, მხნეობისა და დღეგრძელობის კოოპერატივები უნდა გავხსნათ ყველგან და განუსაზღვრელად. ამასთან, გვაქვს წინადადება, რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, საცხოვრებელ ადგილებში სპორტული მოედნებიც კოოპერატორებს გადავცეთ? ვფიქრობთ, აუცილებელი არის, რომ ბაზებს, რომელთა გაშენება-კეთილმოწყობისთვის დიდძალი სახსრებია დახარჯული, ნამდვილი პატრონი გამოუჩნდეს. მაგრამ აქვე დავძენთ: კოოპერატორებს შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ ამ სპორტულ მოედნებთან მოაწყონ გასახდელები, საშხაპეები, აამაღლონ მომსახურების კულტურა. იქნებ დადგა დრო, დავიწყოთ ისეთი მსუბუქი, თანამედროვე ასაწყობი პავილიონების წარმოება, რომლებსაც გასახდელი და საშხაპეებიც ექნება. ასეთი პავილიონები თავის მხრივ მეტ სილამაზეს შეიტანდა მიკრორაიონებში. თბილისის პირველი მაისის რაიონის ხელმძღვანელობა მზადაა დაეხმაროს კოოპერატორებს და დიღმის მასივში გახსნას პირველი საცდელი სპორტული კოოპერატივი, რომელიც ამ საცხოვრებელი მასივის სპორტულ ბაზებს გააერთიანებს. კოოპერატიულ მოძრაობას მეტი გასაქანი უნდა მივცეთ, იგი უნდა იქცეს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ერთ-ერთ პრაქტიკულ რგოლად და მკვიდრად მოიკიდოს ფეხი ჩვენს ყოფაში. ეს ყველას მოვალეობაა.



# ნატო ნასარიძის ზუსტი ისრები

**15 წლის** თბილისელმა მოსწავლემ ნატო ნასარიძემ გაიმარჯვა ახალგაზრდა მშვილდოსანთა საკავშირო პირველობაში. ქეთევან ლოსაბერიძის შესანიშნავი წარმატებების შემდეგ ჩვენს მშვილდოსან გოგონებსა თუ მათს უფროს კოლეგებს სპორტის მოყვარულებისთვის რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევით არ შეუხსენებიათ თავი. ეს „სიჩუმე", როგორც უკვე ვთქვით, ნატო ნასარიძემ დაარღვია, რომელმაც ჩებოქსარში გამართულ ტურნირში 2300 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ იგი თავისზე უფროს მეტოქეებს ეჯიბრებოდა. ნატო ნასარიძე სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელია (მწვრთნელები — ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ბაჩუკი მეძევაძე).

## ჭადრაკი — მკითხველი

**7 ქვეყნის** 18 გუნდი გამოდის თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირში — „მოსკოვის თასის" ღია გათამაშებაში. პირველ სახეობაში — ფარიკაობაში (ათი საათის ბრძოლების შემდეგ) ლიდერობა ხელთ იგდეს თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა და სსრ კავშირის კლუბების მეორე ნაკრებმა.

**ტოკიო.** საბჭოთა ჩოგბურთელებმა ვერ მიაღწიეს იაპონიის ღია ჩემპიონატის ფინალამდე. ყველაზე კარგად მაინც თბილისელი ლეილა მესხი გამოვიდა. მან მეორე წრეში მოუგო მოსკოველ ნატალია ბიკოვას (6:4, 6:3), ხოლო მეოთხედფინალში — ლვოველ ლარისა სავჩენკოს (6:3, 2:6, 6:3). ლ. მესხი ნახევარფინალში დამარცხდა ამერიკელ პატი ფენდიკთან (0:6, 3:6), რომელიც ფინალში შეხვდება თანამემამულეს სტეფანია რეხეს.

## გმირი ქალაქის პრიზზე

**სამბისტთა** ეს ტრადიციული ტურნირი ყოველწლიურად ტარდება ოდესაში და გამარჯვებულებიც გმირი ქალაქის პრიზებს იღებენ. წლევანდელ შეჯიბრებაში ამ ჯილდოს ლაურეატი გახდა საგარეჯოელი ფალავანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პაატა ბუზარიაშვილი (მწვრთნელი ანზორ ზურაბაული), რომელიც უძლიერესი იყო 82 კგ წონით კატეგორიაში. მესამე ადგილებზე გავიდნენ ზუგდიდელი ზურაბ შურღაია (52 კგ) და დუშელი გია გოგოლაური (74 კგ).

სახ. სახ. ბიბლიოთეკა

# „ხვამლისა ქუაბსა..."

## პირველი სპელეოლოგიური ექსპედიციები საქართველოში

„განიყვნეს ორად ტფილისი, ქუთაისი ორად, და თავადნი და ერისთავნი ურთიერთ შეისწორეს, ნიკოფსიით დარუბანდამდე და განყვეს სამეფო და საჭურჭლენი, გარნა ხვამლისა ქუაბსა რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვნეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს".
ჟამთა აღმწერელი.

**ქართლის** ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ხვამლი უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან ითვლებოდა საქართველოს მთავარ განძთსაცავად, როგორც საიმედო, მიუდგომელი და დაცული ადგილი. ცნობილია აგრეთვე, რომ რუსუდან დედოფალმა მონღოლების შემოსევის დროს თავისი რეზიდენცია ქუთაისში გადაიტანა, უჯარმის ციხეში გიორგი მესამის მიერ მოთავსებული მთელი სახელმწიფო განძეული თან წაიღო და ხვამლის მთაში მოაქცია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს სამეფო თუ საეკლესიო ცენტრების ფასეულობათა უშიშროებისთვის და მტრისგან დასაცავად მიუწვდომელ, გამაგრებულ და გასაიდუმლოებულ ბუნებრივ სამალავებს იყენებდნენ. ამავე მიზანს ემსახურებოდა მყინვარწვერის მარადთოვლიანი მთის მიუვალ კლდეებში ბეთლემის მღვიმე და სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მცხეთის განძეულობის სახიზრად ითვლებოდა. ასევე იყო გამოყენებული ლეგენდებით მოცული მთიანი იმერეთისა, რაჭისა და აფხაზეთის საიდუმლო სამალავები, რომელთაც არა მარტო ადგილობრივი ხელისუფალნი, არამედ ძნელბედობის ჟამს ლტოლვილი მეფენიც თავიანთი სახლობითა და ავლა-დიდებით აფარებდნენ ხოლმე თავს.

ხვამლის შემსწავლელი ექსპედიციის მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ 1935 წლიდან დაისვა ქართველი ალპინისტების წინაშე. მიუვალი მღვიმე-გამოქვაბულების შესწავლის საქმე თავს იდო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ, რომლის მოწვევით, 1939 წლის 22 ივნისს, ალ. ჯაფარიძემ თანმხლებ ინჟინერთან ერთად ჯერ უფლისციხის რამდენიმე მიუვალი გამოქვაბული გამოიკვლია, შემდეგ მორიგი ექსპედიციის გაგზავნა გადაწყდა ხვამლისა და ორხვის გამოქვაბულების შესასწავლად. ამ ექსპედიციის მოსამზადებლად ალ. ჯაფარიძემ იმავე წლის 30 ივნისიდან 20 ივლისამდე სამჯერ დაზვერა ხვამლის რაიონი. ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოავლინა 6 გამოქვაბული, აქედან ძირითადს წარმოადგენდა სწორედ „ხვამლის გამოქვაბულის" სახელით ცნობილი სახიზარი, რომელიც ხვამლის მთის სამხრეთ კედელში, ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრ სიმაღლეზეა.

კლდე, რომელშიც გამოქვაბული მდებარეობს, წარმოადგენს 200-250 მეტრი სიმაღლის სრულიად შვეულ კედელს. მანძილი შვეულად, გამოქვაბულიდან კლდის ძირამდე, 100 მეტრზე ცოტა ნაკლებია, ხოლო კლდის თავამდე დაახლოებით 150 მეტრია. გამოქვაბულის წინა ნაწილი ქვის წყობისგან კირის ხსნარით ხელოვნურად ნაგები 1,3-1,5 მ. სისქის კედლისაა. კედელში დატოვებული 4 ხვრელიდან, როგორც ჩანს, ორი სარკმლის მაგივრობას ასრულებდა, ორიც — კარებისას.

რთული ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით პირველმა ექსპედიციამ, რომელშიც შედიოდნენ: ალ. ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), ალპინისტები დ. ობოლაძე და ა. იაშვილი, კინოგადამღები ჯგუფი — კ. მიტროფანოვი, ბ. კრეპსი და გ. მაღფორია, 1939 წლის 22 ოქტომბერს ხვამლის გამოქვაბულში შეაღწია.

ის ექსპედიცია გამოქვაბულის მეცნიერულ შესწავლას არ ისახავდა, ამიტომ არც ისტორიკოსი და არც არქეოლოგი ჯგუფს არ გაჰყოლია. ჩატარდა მხოლოდ გამოქვაბულის აზომვა, აგეგმვა, კინოგადაღება, შედგა მისი აღწერილობა. პირველმკვლევართა აზრით, მთავარი გამოქვაბული მართლაც განძთსაცავს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ქვევით მოწყობილი ოთახები, სადაც შეიძლება ერთდროულად 40-50 კაცი დატეულიყო, წარმოადგენდა მცველთა სადგომებს. ექსპედიციამ ხვამლის ცენტრალური ნაწილის გამოქვაბულში შეღწევის შემდეგ შეძლო საკმაოდ რთული ასვლების მოწყობა ორხვისა და ტვიშის გამოქვაბულებშიც. სამწუხაროდ, სამამულო ომმა ხელი შეუშალა ხვამლის კომპლექსური ექსპედიციის განხორციელებას.

ეს ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, ლ. გოთუა, ვ. ბელეცკაია, გ. ლომთათიძე, ალ. ნემსიწვერიძე, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ე. აბაშიძე, ვ. ნასონოვა, ს. შხვაცაბაია და გ. ჯაფარიძე, მხოლოდ 1945 წლის ივლისში შედგა.

ექსპედიციის შედეგების აღწერა ალ. ჯაფარიძემ ვერ მოასწრო, იგი უშბაზე დაიღუპა. ექსპედიციის შესახებ მასალები გამოაქვეყნეს მკვლევარებმა: გ. ლომთათიძემ, ე. აბაშიძემ. მწერალმა ლ. გოთუამ და სხვებმა.

მიუვალ მღვიმე-გამოქვაბულთა შესწავლისთვის წამოწყებულმა ამ მოძრაობამ განაპირობა საქართველოს ალპიურ კლუბთან (1945 წელს) სპელეოლოგიური კომისიის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ამით სათავე დაედო საქართველოში მეცნიერულ საფუძველზე სპელეოლოგიურ კვლევას. კომისია სხვა გამოქვაბულებთან ერთად, ხვამლითაც დაინტერესდა.



ხვამლის კლდის შუა ნაწილი, სადაც ჩანს გამოქვაბული. აქვე ჩანს გამოქვაბულის შესასვლელთან ამოშენებული ხელოვნური კედელიც.

სპელეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე სპეციალისტთა თვალსაზრისით, ხვამლის ქვაბულში „საჭურჭლეთა" რაიმე ნაშთის აღმოჩენა მოსალოდნელი აღარ იყო. მეცნიერულ ინტერესს იწვევდა თვით ქვაბულების, მათი აგებულება-მოწყობილობის შესწავლა და აღწერა. ეს ამოცანა ხვამლის ექსპედიციამ წარმატებით შეასრულა და ხვამლის მასივის ქვაბულთა შემდგომი კვლევისთვის კარგი საფუძველი შექმნა.

შემდგომში, როდესაც ექსპედიციის ხელმძღვანელი ლ. მარუაშვილი კომენტარს უკეთებდა ხვამლის ექსპედიციის შედეგებს, აღნიშნავდა: „მღვიმეში შემონახული ნაგებობანი (თავდაცვითი კედელი და სხვ.) ადასტურებენ სამხედრო მიზნით მის გამოყენებას და გვიჩვენებენ ძველი საქართველოს სამშენებლო ტექნიკის მაღალ დონეს..." (ლ. მარუაშვილი, „შუქი ბნელეთში", თბ. 1963 წ. გვ. 152-153).

ხვამლის პირველმკვლევარებს აქაური საგანძურის ხელყოფის შესახებ სხვადასხვა გადმოცემები ჩაუწერიათ. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ხვამლის გამოქვაბულში ვითომ თავადი დადიანის დავალებით შევიდა ვინმე ყიფიანი, რომელმაც დიდი სიმდიდრე ფარულად გამოიტანა. როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, გადმოცემით, ზოგიერთ გამოქვაბულში, ბიზანტიური ფული და სხვა საგნები უპოვნიათ.

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით ხვამლის რაიონის გამოქვაბულებში შესვლა სხვებსაც უცდიათ. ასე მაგალითად: ამბობენ ვითომ, ირხვის გამოქვაბულში ჩაეშვა ვილაც მეტრეველი, მაგრამ გამოქვაბულთან დაუტრიალდა თოკი და შიგ შესვლა ვეღარ შეძლო. ასახელებენ აგრეთვე ვინმე კენჭაძეს, რომელიც თითქოს შესულა იმავე გამოქვაბულში და სხვა. მაგრამ ისტორიული წყაროები უფრო დამაჯერებლად და დამაფიქრებლად გვიამბობენ სინამდვილეზე.

...საქართველოში არაერთგზის შემოჭრილმა თემურლენგმა, ერთ-ერთი მორიგი ლაშქრობის დროს, „ხამი აბრეშუმისა და ბამბის თოკისაგან დააგრეხინა უზარმაზარი მოძრავი კიბე, რომელსაც, ნათანზის მოწმობით, 400 საფეხური ჰქონდა, ამის პარალელურად, თემურლენგმა მთელს ლაშქარში გამოარჩია ყველაზე გულადი და თავგამეტებული მეომრები და ურიცხვ წყალობას შეჰპირდა მისთვის საინტერესო გამაგრებული ბუნებრივი ზღუდის აღების წარმატებით დასაგვირგვინებლად. მის უზარმაზარ ლაშქარში 52 მოხალისე აღმოჩნდა, რომლებიც საგანგებოდ იქნენ აღნუსხული დავთარში ხელმწიფის მდივან-მწიგნობართა მიერ".

თემურლენგს „ჰყავდა კლდეზე ცოცვაში გაწაფული მეომრებიც მეჰრითთა ტომებიდან, რომლებსაც ქვეყანაზე ბადალი არ ჰყავდათ ამ საქმეში" — აღნიშნავს თემურლენგის ისტორიკოსი შარაფ ად დინ ალი იეზიდი. ფარსადან გორგიჯანიძეს აღწერილი აქვს, რომ ომში გამოცდილი მტრის მეომრები დაურბეველს არც ჩვენს მღვიმე-გამოქვაბულ-სახიზრებს ტოვებდნენ. სხდებოდნენ ... მანდუკებში, რომელსაც თოკით კლდეზე უშვებდნენ და გამოქვაბულებს რომ გაუსწორდებოდნენ, ისრით, ხმლითა და შუბებით ებრძოდნენ შეხიზნულებს; ცეცხლმოდებულ ნავთიან ქოთნებსა და ისრებს ესროდნენ და უწვავდნენ ხის ნაგებობებს, თუმცა მემატიანე იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველებმა „ზოგან შიგნიდამ ძალი მოატანეს ...საბელი გაუწყვიტეს და კიდობნიანად ჩაიმტვრივნეს, დაიხოცნესო".

როგორც უმეტესად ხდებოდა, მტერი, თუკი ხელი მიუწვდებოდა, ანადგურებდა არა მარტო სახიზარში მყოფ ყველა სულდგმულს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს და გაჰქონდათ იქიდან ყოველი ღირებული, არამედ შლიდა და ანადგურებდა, სწვავდა და სპობდა ერის კულტურის ყოველგვარ ნიშანწყალს. ამდენად გასაკვირიც არაა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, თვით პეტროგლიფური ან კრიპტოგრაფიული ქვის საბუთებიც კი აღარაა შემორჩენილი. აღარას ვამბობთ წიგნების, ხელნაწერი ფურცლებისა და წინაპართა შემოქმედების სხვა ძვირფასი ნიმუშების ნაშთებზე.

ძიებამ და არქეოლოგიურმა გათხრებმა, ლევან გოთუას თქმისა არ იყოს „აქ, ამ მიუვალ ქვაბებში უნდა მიგვაგნებინოს „ქართლის ცხოვრების" დაფანტული ფურცლები, „ვეფხისტყაოსნის" დაკარგული დედნები და დედნისპირები... მამა-პაპათა სისხლით დაპკურებული ხატ-სალოცავები და საბრძოლო დროშები.

როგორც ხვამლის ექსპედიციის მონაწილე, არქეოლოგი გ. ლომთათიძე ასკვნის, ხვამლის გამოქვაბულში „წყლის მიერ კირქვის კლდის გამოფულვრის შედეგად წარმოქმნილი, მაგრამ შემდეგ ხელოვნურად გაფართოებული მღვიმეებია".

თავის დროზე საქართველოს ალპიური კლუბის მცდელობით, რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების წარმომადგენელთა დაინტერესებითა და თანადგომით, შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილის — მღვიმე-გამოქვაბულთა, მიუვალ სახიზარ-სამალავთა მეცნიერული კვლევა.

სპელეოლოგიას, ანუ მღვიმეთმცოდნეობას საქართველოში ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი და დღეს 50-წლიან გზას ამ დარგის მკვლევარები მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებით აღნიშნავენ.

**სიმონ ჯაფარიძე,**
**ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ბუნების ძეგლთა განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

# დანაშაული და სასჯელი

**ცოტა** უხერხული კია ერთსა და იმავე თემაზე ხშირად საუბარი, მაგრამ უმჯობესია სათქმელი ბოლომდე ითქვას, მით უფრო, ყველას ერთნაირი სურვილი გვაქვს, რომ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი საჩვენებელი შეჯიბრება იყოს. იგი, მართლაც, სამაგალითო შეჯიბრებაა თავისი შორსგამიზნული დანიშნულებითა და ამოცანით. ყოველ შემთხვევაში, სხვა ასეთ რესპუბლიკურ ტურნირს ალბათ ვერც გაიხსენებთ.

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენში კალათბურთის განვითარების, მისი შემდგომი პოპულარიზაციის კომპლექსური პროგრამა შემუშავდა. რესპუბლიკური ჩემპიონატი ამ პროგრამის მთავარი ნაწილია და ამიტომაც ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს შეჯიბრებისადმი. ორგანიზაციული სირთულეები ფაქტიურად დაძლეულია, სატურნირო მექანიზმი მოიმართა. ახლა მხოლოდ ხელშეწყობაა საჭირო. ხელშეწყობა და წესრიგი ყველა დონეზე, ყველა რგოლში, ყველა უმნიშვნელო დეტალში.

ამიტომაც გვიმძიმს ამ თემაზე ხელახალი საუბარი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ასეთი საუბარი საჭიროა. დღეს თუ ვინმეს მისამართით საყვედურს გამოვთქვამთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალში დამნაშავე თვითონ გაფრთხილდეს და სხვებმაც ეს საყვედური ყურად იღონ.

ქუთაისი რესპუბლიკური ჩემპიონატის დღეებში მხოლოდ კალათბურთით ცხოვრობს. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ქუთაისი ქართული კალათბურთის აღიარებულ ცენტრთაგანია. ქუთაისში დიდი ინტერესით მოელოდნენ რესპუბლიკური ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტისა და ლიდერის— ფიზკულტურის ინსტიტუტის ჩამოსვლას. ესეც გასაგები ინტერესია.

გაუგებარი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ამ საინტერესო მატჩის ჩატარება ქალაქის ცენტრალურ დარბაზში ვერ მოხერხდა. ჩვენ ვიცით, რომ იმ დღეებში მთავარი ბაზა სხვა ტურნირით იყო დაკავებული, მაგრამ არც რესპუბლიკური ჩემპიონატია ხელწამოსაკრავი ღონისძიება. ქუთაისის სპორტის მესვეურთა მიმართ სხვა პრეტენზიაც გვაქვს: რა გახდა ერთი სადემონსტრაციო ელექტროტაბლოს დამონტაჟება. სხვაგან, სხვა ქალაქებში ეს საკითხი ასე თუ ისე მოგვარდა. მით უმეტეს, უნდა მოგვარებულიყო იგი ქუთაისში. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქუთაისის რანგის ქალაქისთვის ეს მიუწვდომელი ოცნება იყოს.

აღნიშნულ მატჩში მოხდა ერთი ინციდენტი, რომელიც რესპუბლიკის კალათბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მსჯელობის საგანი გახდა. ესეც გულდასაწყვეტია, რომ დღეს საუბარი დისციპლინის, სპორტული ეთიკის დარღვევის ცალკეულ ფაქტებზე გვიხდება. თანაც ამჯერად დამნაშავეთა როლში გამოდიან ფიზკულტურის ინსტიტუტის გამოცდილი კალათბურთელები ალექსანდრე ფერიაშვილი და ნიკო ჩერქეზიშვილი, რომლებიც ფაქტიურად „დინამოს" ოსტატთა გუნდში თამაშობენ.

საუბარი ისევ და ისევ მსაჯთა მიმართ უპატივცემლობაზე, მათ დაუფასებლობაზე გვექნება. ხსენებულმა კალათბურთელებმა შეურაცხმყოფელი უნდობლობა გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის ორი მოწინავე მსაჯის, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის გოგი ავალიშვილისა და როლანდ ხომერიკის მიმართ, იმ მსაჯების მიმართ, რომლებსაც საერთაშორისო ფედერაცია ევროპისა და მსოფლიო რანგის პასუხსაგები ტურნირების ჩატარებას ანდობს.

ფერიაშვილი და ჩერქეზიშვილი უკმაყოფილონი დარჩნენ მეორე მატჩის შედეგით, რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტმა წააგო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეგო. მართლაც, ძნელია მოინელო დამარცხება, როცა მატჩს საკმაოდ დიდი ანგარიშით იგებდი. ამ კალათბურთელებმა სწორად ვერ მიაგნეს მარცხის მიზეზს და თავიანთი შეცდომები მსაჯებს გადააბრალეს.

სპორტ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე ამ ბრძოლის ნათელი სურათი გადაიშალა. ქუთაისელთა მხარეს შეხვედრის განმავლობაში 19 ჯარიმა დაინიშნა, ფიზკულტურის ინსტიტუტის მხარეს მხოლოდ რვა. სტუდენტმა კალათბურთელებმა მეორე ტაიმში რვა თუ ცხრა საჯარიმო სროლა ვერ გამოიყენეს. ბოლო წამებზე ფარქვეშ მარტოდმარტო დარჩენილმა ტომარაძემ ბურთი ვერ მოათავსა კალათში. შეხვედრა კი ინსტიტუტის გუნდმა, მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთი ქულით წააგო. ყველაფერ ამის შემდეგ განა შეიძლება ბრალი დავდოთ მსაჯებს? ან კი, ორი გამოცდილი, ავტორიტეტული და დაფასებული არბიტრი რატომ უნდა მიდგომოდა ან ერთ, ან მეორე მხარეს?

სპორტსმენის დასჯა, რა თქმა უნდა, არაა თვითმიზანი, მით უფრო, რომ ამ კოლექტივის წევრები ადრე არაფერში ყოფილან შემჩნეულნი. მაგრამ სპორტ-ტექნიკურმა კომისიამ სათანადო სასჯელი, ცხადია, გამოიტანა. მისი გადაწყვეტილება სხვებისთვის უნდა იყოს სამაგალითო. ყველამ უნდა იცოდეს — რესპუბლიკური ჩემპიონატის ახლებური სისტემით ჩატარების უფლება დიდი ბრძოლითა და ბევრი წინააღმდეგობის დაძლევის გზითაა მოპოვებული და მას ჩრდილს ვერ მივაყენებთ.

ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა განიხილა აღნიშნულ კალათბურთელთა საქციელი და გარკვეული ღონისძიებებიც დასახა. სპორტ-ტექნიკურმა კომისიამ ეს ყველაფერი გაითვალისწინა — ფერიაშვილი და ჩერქეზიშვილი დისკვალიფიცირებულნი არიან ორი მატჩით და პირობით — წლის ბოლომდე. ჩერქეზიშვილი გადაყენებულია კაპიტნობიდან. გუნდის მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს მიეთითა.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „რა გახდა ერთი ჯიხური"

**თბილისის სპორტკომიტეტი „ლელოს" 7 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის „რა გახდა ერთი ჯიხური" პასუხად გაცნობებთ, რომ ჯიხურისთვის ადგილი გამოყოფილია კიროვის სახელობის პარკის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ჯიხურის ესკიზს, რომელიც ჩვენს მიერ იყო წარდგენილი, ქალაქის მთავარი არქიტექტურული დაგეგმარების სამმართველომ დაიწუნა.**

**ახალი ესკიზის დასამზადებლად ქალაქის ფიზიკური კულტურის კომიტეტმა მიმართა თბილკეთილმოწყობის სამმართველოს სამხატვრო კომბინატს, მაგრამ ესკიზი დღემდე არ მიგვილია.**

**ლევან თედიაშვილი,**
**თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სსრ კავშირის თასზე

**„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (2:0)**
**დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის“ სტადიონი. 13 აპრილი.**
**„დნეპრი“: გოროდოვი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი (ნეიშტეტერი, 56), პუჩკოვი, სოროკალეტი, კუდრიცკი, ბაგმუტი, შახოვი (გერაშჩენკო, 46), შოხი, ევტუშენკო (სტორჩაკი, 46), სონი.**
**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, თევზაძე, ჭედია (კორღალიძე, 75), არზიანი, ტყებუჩავა, სვანაძე, სულაქველიძე (რევიშვილი, 46), ცვეიბა, გურული, შენგელია (ფანცულაია, 46).**
**მსაჯი ვ. ფილიპოვი (მოსკოვი).**

„დნეპრთან“ თამაში, ისიც მის მინდორზე, ფრიად რთული საქმე გახლავთ. დნეპროპეტროვსკის გუნდი ახლა ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერია, ამ გუნდმა ჩემპიონობაც მოიპოვა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც და მიუხედავად იმისა, რომ წლეულს მას გამოაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები პროტასოვი და ლიტოვჩენკო, ხოლო ნახევარმცველმა ტიშჩენკომ მძიმე ტრავმა მიიღო, „დნეპრი“ ამ სეზონშიც მეორედ იმყოფება უმაღლესი ლიგის საუკეთესოთა რიგებში. ამდენად „მეტეორის“ სტადიონზე განცდილი მარცხი მინიმალური სხვაობით დინამოელთა ქომაგებში, თითქოს, დიდ შეშფოთებას არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ თუ ღრმად გავაანალიზებთ წაგების მიზეზებს და განვლილ თამაშსაც კრიტიკული თვალით შევხედავთ, იოლად შევამჩნევთ, რომ თბილისის „დინამოს“ უკეთესი შედეგისთვის შეეძლო მიეღწია სსრ კავშირის თასის ამ მეოთხედფინალურ მატჩში.

ჩვენმა „დინამომ“ მატჩის პირველი ნახევარი ჩაატარა უკიდურესად დაბალ დონეზე, შებორკილად, უინიციატივოდ, და ბრძოლის წადილებიც ერთიანად მეტოქეს გადაბარა. თბილისელთა თამაშში არ იგრძნობოდა არც მონდომება, არც ხალისი, არც განწყობა, ტემპი მათ დაბალი ჰქონდათ, გუნდმა 45 წუთი თითქმის მთლიანად საკუთარ ნახევარზე გაატარა, თავდამსხმელთა საიერიშო კომბინაციებში ბურთის არც ერთი გათამაშება ბოლომდე არ განხორციელებულა, მეორე გადაცემის შემდეგ მას ადვილად ეუფლებოდნენ მასპინძლები, ჩვენი ნახევარმცველები ღრმა ზურგში მოქმედებდნენ და „დინამო“ მთელი ტაიმი მეტოქის იერიშების მოგერიებას მოუნდა. ისეთ ვითარებაში, როცა მეკარე გოროდოვი ფაქტიურად თითქმის არც ერთხელ არ მდგარა ხიფათის წინაშე, მის პარტნიორებს სრული შესაძლებლობა მიეცათ მხოლოდ შეტევაზე ეფიქრათ. ჩვენ მათ არც დაუყოვნებიათ, ამიტომაც „დინამოს“ მცველებსა და მეკარეს უმძიმესი სამუშაო დააწვა თავს. თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი ტაიმი იღბლად, მხოლოდ 0:2 წავაგეთ. სხვაობა შესაძლოა მეტიც ყოფილიყო.

პირველი გოლი მე-6 წუთზე მას მერე გავიდა, რაც მცველებმა კარის წინ, სულ ახლოს მასპინძლებს კომბინაციის გათამაშების საშუალება მისცეს და ევტუშენკომ ზუსტად გაგზავნა ბადეში ბურთი — 1:0.

მეორე გოლი „დნეპრმა“ 30-ე წუთზე გაიტანა. „დინამოს“ მცველებმა მიიჩნიეს, რომ მეტოქე თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და, თუმცა, თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ სანამ მსაჯი არ დაუსტვენს, ბურთისთვის ბრძოლის შეწყვეტა არ შეიძლება, ისინი მაინც გაჩერდნენ სასტვენის მოლოდინში. ამასობაში კი, სონი გავიდა წინ და თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი გაბელიას — 2:0.

დაიწყო მეორე ტაიმი და მდგომარეობა მინდორზე ერთიანად შეიცვალა. მთლიანად გაქრა დინამოელთა პასიურობა, მოთამაშეები ენერგიულად ამოქმედდნენ, ნახევარდაცვა წელში გაიმართა, ბურთის გადაცემას მოფიქრებული კომბინაციების სახე მიეცა და „დინამოც“ წინ დაიძრა. ეს უკვე სულ სხვა გუნდი იყო, თამაშიც სულ სხვაგვარად წარიმართა. თქმა იმისა, რომ დინამოელები სრულად ფლობდნენ უპირატესობას ამ 45 წუთის მანძილზე, რასაკვირველია, სწორი არ იქნებოდა, დროდადრო დნეპროპეტროვსკელები კვლავ გადადიოდნენ შეტევაზე, სახიფათო მომენტებიც ისევ იქმნებოდა გაბელიას კართან, მაგრამ საერთო ინიციატივა ამჯერად აშკარად თბილისელებისა იყო, რაც იმით დამთავრდა, რომ მე-80 წუთზე სვანაძემ კარგად გამოიყენა კორღალიძის გადაცემა და საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:2.

დნეპროპეტროვსკში რომ თბილისის „დინამოს“ გაემარჯვა, ნახევარფინალში გავიდოდა და ამ გადამწყვეტ ეტაპზე იგი თავის მინდორზე მიიღებდა მოსკოვის „ტორპედოს“. ღირდა თუ არა საამისოდ სრული შესაძლებლობითა და თავგამოდებით ბრძოლა მთელი 90 წუთის მანძილზე? რა თქმა უნდა, ღირდა, თბილისის „დინამოს“ ქომაგები ამ საინტერესო მატჩსაც ვიხილავდით!

სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში მონაწილეობა ფეხბურთელს სპორტის ოსტატის წოდების მიღების უფლებას აძლევს. ჩვენს გუნდში ახლა მრავლად არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც ეს საპატიო წოდება ჯერ არა აქვთ. ასეთთა შორის არიან ცვეიბა, კორღალიძე, ფანცულაია, ტყებუჩავა, რევიშვილი, რომლებიც სწორედ „დნეპრთან“ მატჩში მონაწილეობდნენ და უპირველესად ისინი უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული მატჩის მოგებით.

დაბოლოს, ჩვენი გუნდით, თბილისის „დინამოთი“ წლეულს უკმაყოფილონი არა ვართ. იგი გაცილებით უკეთესად თამაშობს, ვიდრე შარშან და შარშანწინ, მაგრამ არ შეიძლება არ შეამჩნიო ფრიად არასასიამოვნო მოვლენა — ჩვენი გუნდი მეტოქეთა მინდვრებზე ძალზე ცუდად თამაშობს. მაშინ, როცა შინ სულ სხვაგვარად გამოიყურებიან, გუნდის პოტენციური შესაძლებლობანი „იქ“ თითქმის განახევრებულია. საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში წლეულს შინ დავამარცხეთ ვილნიუსის „ჟალგირისი“, მინსკის „დინამო“, მოსკოვის „დინამო“, სსრ კავშირის ფედერაციის თასზე, მაგრამ სტუმრად ჩატარებულ სამივე მატჩში ლენინგრადის „ზენიტთან“, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ დავმარცხდით. შედეგი, როგორც ხედავთ, სავალალოა, ასეთი „50-პროცენტიანი“ მაჩვენებლებით, ცხადია, შორს ვერ წავალთ, თამაში თამაშია, ყოველ მატჩს, შინ თუ სტუმრად, სრული პასუხისმგებლობით და სრული მონდომებით ესაჭიროება მიდგომა. გუნდის სიძლიერე და კლასი სწორედ ამით განისაზღვრება.

რაც შეეხება სსრ კავშირის თასს, მისთვის წარმატებით ბრძოლა კვლავ სამერმისოდ უნდა გადავდოთ.

ორიოდე სიტყვა მსაჯობის შესახებ. არბიტრები, ჩვენი აზრით, ვერც ამ მატჩში იდგნენ მოწოდების დონეზე. დინამოელებს არ ვამართლებთ, მაგრამ უფრო ობიექტური მსაჯობა რომ ყოფილიყო, შესაძლებელია თამაშიც სხვა იქნებოდა და ანგარიშიც.

**„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.**

• • •

## ნახევარფინალური წყვილები

სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრათა შედეგად ნახევარფინალში გავიდნენ: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი). ეს თამაშები ჩატარდება 18 მაისს.

# SOS

## კვლავ უდისციპლინობა?

**რესპუბლიკის წლევანდელმა საფეხბურთო ჩემპიონატმა კარგად აიღო სტარტი. განვლილმა ტურებმა გვიჩვენა, რომ ბევრ კოლექტივში გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა, სწორედ ეს არის იმის საწინდარი, რომ დისციპლინის დარღვევები ჯერჯერობით უმნიშვნელოა, თუმცა ჯერ კიდევ გვხვდებიან ფეხბურთელები, რომლებიც არასპორტული საქციელით ჩრდილს აყენებენ თავისი ქალაქისა და რაიონის სახელს.**

**როდესაც მწვრთნელმა ბორჯომის „თორის“ ფეხბურთელი ი. დენისკინი შეცვალა, განაწყენებულმა ფეხბურთელმა ლანძღვა-გინებით აიკლო მსაჯი გ. ხეჩუაშვილი, მატჩის სანახავად მოსული მაყურებელი განცვიფრებული შეჰყურებდა ამ სურათს. მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ამავე რაიონის ახალდაბის „მევეჯის“ ფეხბურთელი ზ. ჩადუნელი. საინტერესოა, რა ღონისძიებებს მიმართავს ბორჯომის სპორტკომიტეტი ფეხბურთელების თავაშვებულობის აღსაკვეთად?**

**საგანგაშოა სამტრედიის ხისდამმუშავებელი კომბინატის გუნდის ფეხბურთელთა საქციელი. სამტრედიელები 10 აპრილს საკუთარ მინდორზე დამარცხდნენ ორჯონიკიძის „ჩხერიმელასთან“. განაწყენებულმა მასპინძელმა ფეხბურთელებმა ანგარიშის გასწორება არბიტრთან სცადეს. მსაჯი იძულებული შეიქნა მინდვრიდან გაეძევებინა კოხრეიძე და ჩაჩუა, ხოლო ულირსი საქციელისათვის თამაშის შემდეგ ფეხბურთელის ბარათი ჩამოერთმია თავაძისთვის.**

**აქვე გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი მსაჯის უპასუხისმგებლობაც. რას უნდა მივაწეროთ ფოთელ მსაჯთა ბრიგადის ყოვლად გაუმართლებელი საქციელი. 2 აპრილს მახარაძის რაიონის „დვაბზუსა“ და ონის „მამისონის“ შეხვედრის სამსაჯოდ არ გამოცხადდნენ კ. წულუკიძე, თ. კოკაია და კ. ტარაბიციანი.**

**9 აპრილს ლაგოდეხში სამსაჯოდ არ ჩავიდა მ. მახარაძე, ლანჩხუთში ჭაბუკთა პირველობის კალენდარულ მატჩზე დაიგვიანა რუსთავის მსაჯთა ბრიგადამ გ. შავგულიძის, ნ. ფოლადაშვილის, გ. გელავას შემადგენლობით.**

**რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართოს მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად.**

**ფეხბურთში**

# II ლიგის რეორგანიზაცია

II ლიგის გუნდების სსრ კავშირის გათამაშებაში მოხდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც საქართველოს გუნდები განაწილდნენ III და IX ზონებში.

გთავაზობთ ზონების შემადგენლობას:

**III ზონა**

„ვოლგარი“ (ასტრახანი), „დინამო“ (სოხუმი), „დრუჟბა“ (მაიკოპი), „ისკრა“ (ერევანი), „კოლხეთი“ (ფოთი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „ლორი“ (კიროვაკანი), „ლუჩი“ (აზოვი), „მაშუკი“ (პიატიგორსკი), „მერცხალი“ (მახარაძე), „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „ნარტი“ (ჩერკესკი), „ოლიმპია“ (ლენინაკანი), „სპარტაკი“ (ანაპა), „სპარტაკი“ (ნალჩიკი), „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი), „სპარტაკი“ (ტამბოვი), „ტორპედო“ (ტაგანროგი), „ურალანი“ (ელისტა), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი).

**IX ზონა**

„ატომმაში“ (ვოლგოდონსკი), „ბაკინეცი“, ოლიმპიური მომზადების ცენტრი (ბაქო), „ვოსხოდი“ (სუმგაითი), „გოიაზანი“ (ყაზახი), „დილა“ (გორი), „დინამო“ (მახაჩყალა), „ქიაფაზი“ (კიროვაბადი), „ლოკომოტივი“ (მინერალური წყლები), „ლოკომოტივი“-ოლიმპიური მომზადების ცენტრი (თბილისი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „სოკოლი“ (სარატოვი), „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი), „თერგი“ (გროზნო), „ტორპედო“ (ვოლჟსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „შევარდენი“-სპი (თბილისი).



**თბილისის** 169-ე საშუალო სკოლაში გახსნილი საფეხბურთო კლუბი სახელგანთქმული სპორტსმენის სახელს ატარებს. საშა ჩივაძე დიდი ფეხბურთიდან წავიდა. მაგრამ ქვეყნის ჩემპიონი, სსრ კავშირის თასების გათამაშების ორგზის გამარჯვებული, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქვეყნის ნაკრებისა და მშობლიური „დინამოს“ კაპიტანი დარჩა ბავშვებთან, ახალგაზრდებთან, რომლებსაც ასე სჭირდებათ მისი გამოცდილება, სიყვარული ფეხბურთის მიმართ!

**ს უ რ ა თ ზ ე: ალექსანდრე ჩივაძე 169-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.**

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**13 და 14 აპრილს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა საინტერესო საფეხბურთო მატჩები.**

**პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის მსახიობებისა და ჟურნალისტთა ნაკრები გუნდები. ანგარიშით 9:5 გაიმარჯვეს მსახიობებმა (მარჯვენა სურათზე).**

**თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი, რომლის მომენტი მარცხენა ფოტოზეა აღბეჭდილი, დამთავრდა ფრედ — 1:1.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.





# ახალი ცნობარი

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ დიდი ტირაჟით გამოუშვა 1988 წლის საფეხბურთო ცნობარი (რუსულ ენაზე). ცნობარის რედაქტორია ა. ჭკუასელი, ავტორი-შემდგენელი — გ. აკოფოვი.

ფეხბურთის მოყვარულები ცნობარში იხილავენ უმაღლესი და პირველი ლიგების, აგრეთვე, საქართველოს ჩემპიონატის კალენდრებს, უმაღლესი ლიგის გუნდების შემადგენლობებს, საკავშირო თასის გათამაშების შედეგებს, 1987 წლის სეზონის შეჯიბრებათა შედეგებს, საქართველოს II ლიგის გუნდების შემადგენლობებს, აგრეთვე, სხვა საინტერესო სტატისტიკურ გამონაგარიშებებს — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შედეგებს და კალენდრებს, ევროპის საკლუბო ტურნირების შარშანდელ მაჩვენებლებს.

# იშრიალე, ხეივანო...

(დასასრული)

**რომან რურუა:** „სულ ახლახან აღვნიშნეთ ხსოვნის დღე. და აი, ამ ცერემონიალზე გარდაცვლილ სპორტსმენთა ოჯახის წევრებიც მოიწვიეს. უდროოდ დაღუპულთა სახელით ისინი რგავდნენ ხეებს. იმათ თვალებში მე ვხედავდი ცრემლს. მადლობა იმისთვისაც, რომ ღირსეულ სპორტსმენთა არდავიწყებით მათს ახლობლებს როგორღაც მწუხარებასაც ვუმსუბუქებთ“.

მაშ ასე, სპორტული დიდების ხეივანმა გული გაუხსნა ჩემპიონებს, დიღმის ტყე-პარკის ასწლოვანი მცენარეების გვერდით ამიერიდან ჩემპიონთა ხეებიც იშრიალებენ. სპორტსმენები და სპორტის მუშაკები გულითად მადლობას უძღვნიან რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, სპორტსახკომს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, გამწვანების მუშაკებს, ყველას, ვინც საქმით შეიტანა წვლილი, რომ რესპუბლიკას სპორტული დიდების ხეივანიც ჰქონოდა. დღეს და ხვალ, ცხადია, ხეივანი ედემად ვერ გადაიქცევა, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, მაგრამ თანდათან ყველაფერი გაკეთდება, გაკეთდება გულიანად და ლამაზად, როგორც ეს ჩვენს სახელოვან ჩემპიონებს ეკადრებათ. განსაკუთრებით ბევრი საქმე ექნებათ გამწვანების მუშაკებს. აკი ისინი უკვე გულით მოეკიდნენ საქმეს და 12-15 წლის საუკეთესო ჯიშის ათობით ხე დახვედრეს სასიქადულო სპორტსმენებს.

გამოხდება ხანი და ხეივანი რესპუბლიკის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად იქცევა. აქ მოვლენ სტუმრები და ტურისტები, რათა თვალის ერთი გადავლებით აღნუსხონ, რამდენი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ჰყავს საქართველოს. ხეივანს კი ჩემპიონთა ხეები არ მოაკლდება, ვინაიდან დედასაქართველოს არასდროს მოაკლდება ჩემპიონი; ხეები იმრავლებენ და ტყედ იქცევიან, რადგან საქართველო სპორტული ქვეყანაა, რადგან ჩემპიონთა ტრადიცია საიმედოდ გადადის თაობიდან თაობაში, რადგან სპორტი ჩვენი ეროვნული ენერგიის სიმბოლოდ მიგვაჩნია.







სურათებზე: რომან რურუა, ლევან თედიაშვილი და ვიქტორ სანეევი სპორტული დიდების ხეივანში რგავენ სახელობით ხეებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# მიზანთან ახლოს

**ქეთევან** კახიანი მიზანთან ახლოსაა! ბაქოში მიმდინარე 16 და 20 წლამდე ახალგაზრდა გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირზე კახიანი ერთადერთი მოჭადრაკეა, ვისაც შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტურით ადრე დამარცხების სიმწარე არ უგემია. ის კი არადა, გარდაბნელი ოსტატი მხოლოდ ერთხელ (II ტურში) დაუზავდა მეტოქეს და 7 გამარჯვება (ზედიზედ 6!) მოიპოვა. მართლაც, შესამჩნევი შედეგია. VIII ტურში ქეთევანი შავი ფიგურებით ეთამაშებოდა თეა ლანჩავას. გათამაშდა ახალინდური დაცვა. დინამიურად თანაბარ პოზიციაში ლანჩავამ შეცდომა დაუშვა, რითაც მყისვე ისარგებლა მისმა მეტოქემ და აართვა პაიკი. შემდეგ თეა ცაიტნოტშიც მოხვდა და ველარ გაართვა თავი სირთულეებს და სულ მალე გააჩერა საათი.

პოზიციები განიმტკიცა სოფიკო ტერელაძემაც, რომელმაც შავი ფიგურებით დაამარცხა ბელორუსიელი იულია ლევიტანი. გაიმარჯვა ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, ლატვიელმა ლაიმა დომარკაიტემ. მან ბაქოელ ფირუზა ველიხანლის მოუგო.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სკუინია-ბელაკოვსკაია — 0,5:0,5, ჯანჯღავა-დიომინა — 0,5:0,5. გადაიდო ერმოლინსკაია-სოკოლოვას პარტია.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კახიანი — 7,5 ქულა, სოფიევა — 6, დომარკაიტე — 5,5, ტერელაძე — 5, ერმოლინსკაია — 4,5 (1).

ახლა გაგაცნობთ იმ ხუთეულის წარმომადგენელთა სატურნირო მდგომარეობას, რომელთა ასაკი 16 წელს არ აღემატება და ამ ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი საგზურისათვისაც იბრძვიან. აქ წინ არის სოფიკო ტერელაძე — 5 ქულა. მას ქულით ჩამორჩება ლევიტანი, ნათია ჯანჯღავასა და თეა ლანჩავას 3,5-3,5 ქულა აქვთ, ნიგინ სულთანოვამ მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა თავის აქტივს. როგორც ხედავთ, ამ „ფრონტზეც“ ჩვენი თანამემამულე ლიდერობს...

**ბორჯომში,** სადაც ჭაბუკები ასპარეზობენ, პირველი მარცხი იწვნია თბილისელმა ოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ. IV ტურში იგი დამარცხდა ძალიან ძლიერ მოჭადრაკესთან, ფიდე-ს ოსტატ ალექსეი დრეევთან (მოსკოვის ოლქი), რომელსაც ტურნირის მონაწილეთა შორის მეორე რეიტინგი აქვს (მინსკელ ოსტატ ილია სმირინის შემდეგ). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: შჩერბაკოვი-კომაროვი — 0,5:0,5, ხენკინი-სოროკინი — 0,5:0,5, შიროვი-აკოფიანი — 1:0, ულიბინი-კამსკი — 0:1.

4 ტურის შემდეგ 4 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს რიგელ ოსტატს ალექსეი შიროვს. 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს გატა კამსკიმ (ლენინგრადი, ოსტატი), ალექსეი დრეევმა და მაქსიმ სოროკინმა (მოსკოვის ოლქი, ოსტატი). 3 შესაძლებლიდან 2 ქულა აქვს ლაშა ჯანჯღავას. ამდენივე ქულა მოაგროვა, ოღონდ 4 შეხვედრიდან, ერევნელმა ოსტატმა ვლადიმერ აკოფიანმა.

# კეხბა და დავიდენკო

**ბოლო** დროს რესპუბლიკის სპორტსმენთა გვარებს სულ უფრო ხშირად შეხვდებით საგზატკეცილო რბოლაში საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორთა სიაში. ეს კარგი სიმპტომია.

აი, ამას წინადაც ფერგანაში გაიმართა საკავშირო ასპარეზობა საგზატკეცილო რბოლაში, რომელშიც ქვეყნის ბევრი უძლიერესი სპორტსმენი ასპარეზობდა, ერთი ორად საპატიოა ჯგუფურ რბოლაში ჩვენი ველოსიპედისტის მიერ მოპოვებული წარმატება. იქ ჯგუფურ რბოლაში 140 კილომეტრზე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, რუსთაველმა გარი კეხბამ (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება) მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ანალოგიურ წარმატებას (II ადგილი) მიაღწია კრიტერიუმში (რბოლა 60 კილომეტრზე) ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა, თბილისელმა ვასილ დავიდენკომ (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება), როგორც ხედავთ, ყინული დნება — საქართველოს წარმომადგენლები გარკვეულ კვალს ტოვებენ საკავშირო სარბიელზე.

# ხუთი ტურით ადრე

**ხუთი** ტური დარჩა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების I ეტაპის დამთავრებამდე. ბრიუსელში 11 ტურის შემდეგ 7,5 ქულით (11 შესაძლებლიდან) კვლავინდებურად ანატოლი კარპოვი ლიდერობს. 10-დან 7 ქულა მოაგროვა ალექსანდრე ბელიავსკიმ, 10-დან 6,5 — ლაიოშ პორტიშმა (უნგრეთი). შემდეგ მოდიან: ვალერი სალოვი — 6 (11-დან), ჯონ ნანი (ინგლისი) — 6 (10-დან), ჯონათან სპილმენი (ინგლისი), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 5,5-5,5 (10-10 შეხვედრიდან).

საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე

# ნაკრების მეორედ „დაბადება“

ვანი. „სალხინოს“ სტადიონი. 14 აპრილი.

საქართველო (ნაკრები) — რსფსრ (ნაკრები) 24:22 (18:10)

**საქართველო:** ძაგნიძე, ყორყოლიანი, ძოწენიძე, ხარშილაძე, დეისაძე (მარიამიძე), მაჩიტიძე, ლოსაბერიძე, ბაბუნაშვილი, ტურძელაძე (ფირცხალავა), ლილუაშვილი, ალექსიძე, კაშია (სვანიძე), ოდიშარია (გაბუნია), გაბიძაშვილი, ნემსიწვერიძე.

**რსფსრ:** გოჩნევი, ხომიაკოვი, ივაშკინი, პატლასოვი (კრასნობაევი), კარპოვი, ნიკოლაევი, სტაროვატოვი, კობილკინი, კოველი (ვოლფი), კოჟუხოვი, კისელიოვი, კრიკსა, მალინინი, ნეგოდინი, ბიკოვი.

მსაჯი: სტანისლავ კნორი (ალმა-ათა).

გოლები: საქართველო — 3 ლელო (დეისაძე — 5, ყორყოლიანი 35, ძოწენიძე 57), 3 რეალიზაცია (5, 35, 57 — ძაგნიძე), 2 საჯარიმო (ძაგნიძე 13, ლილუაშვილი 30). რსფსრ: 6 საჯარიმო (15, 23, 55, 65, 76, 78 — ნიკოლაევი), 1 ლელო (კისელიოვი 38).

საქართველოსა და რსფსრ-ის ნაკრები გუნდების შეხვედრით დაიწყო რეგბისტთა ოთხი ნაკრები გუნდის ტურნირი საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე. ტურნირის გამართვა მიზნად ისახავს სსრ კავშირის ნაკრების უკეთ მომზადებას ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდებთან ჩასატარებელი ფირა-ს ჩემპიონატის მატჩებისათვის და რეგბის პოპულარობის გაზრდას დასავლეთ საქართველოს რაიონებში (ვანის გარდა, რამდენიმე მატჩი ჩატარდება წულუკიძესა და გეგეჭკორში); ამავე დროს, რესპუბლიკების ნაკრებთან ტურნირს მიიჩნევენ სასპარტაკიადო სისტემის სასინჯ ვარიანტად.

მიუხედავად იმისა, რომ რეგბის საქართველოში უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს, ჩვენს სპორტსმენებსაც არაერთხელ მიუღწევიათ წარმატებისათვის საკავშირო სარბიელზე, რესპუბლიკის ნაკრები ამჯერად მხოლოდ მეორედ შეიკრიბა (პირველად ეს მოხდა 1977 წელს, როცა თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე) და იგი ძირითადად ქვეყნის ჩემპიონის, ქუთაისის „მშენებლის“ ბაზაზეა დაკომპლექტებული. რამდენიმე რეგბისტი მოწვეულია თბილისის გუნდებიდანაც. საქართველოს ხელახლა შექმნილ ნაკრებს (მწვრთნელები დ. კავთელაშვილი და დ. კილასონია) პირველი გამოცდის ჩაბარება, როგორც ვთქვით, მოუხდა რსფსრ-ის საკმაოდ ძლიერ



ნაკრებთან, რომელიც კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის“ სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული. ამ გუნდმა წლევანდელ სეზონში საკმაოდ კარგი სტარტი აიღო და, ალბათ, მაღალ სატურნირო ადგილსაც უმიზნებს.

ბუნებრივია, უმაღლესი ლიგის ამ წამყვანი გუნდების შეხვედრა უაღრესად დაძაბულად, საინტერესოდ წარიმართა. თამაშს არც სილაღე და სანახაობრივი მიმზიდველობა აკლდა. მეტოქეები ხშირად თამაშობდნენ ხელით, ხშირადვე შლიდნენ ეფექტურ მარაოს და ლამაზად გატანილი ლელოებით არაერთხელ დაიმსახურეს ტაში.

...საქართველოს ნაკრების თავდამსხმელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, რამდენიმე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და მეხუთე წუთზე დეისაძემ შეტევა ლელოს გატანით დააგვირგვინა. ძაგნიძემ ჯერ რეალიზაცია გამოიყენა, შემდეგ საჯარიმოც შეაგდო და ჩვენი ნაკრები დაწინაურდა — 9:0.

მხოლოდ პირველი ტაიმის შუა პერიოდში შეძლეს რსფსრ-ის ნაკრების წევრებმა კონტრიერიშების განხორციელება და ნიკოლაევმა ზედიზედ ორი საჯარიმო შეაგდო. ქართველ რეგბისტებს არ გასჭირვებიათ უპირატესობის დაბრუნება. მორკინალებმა, რომელთაც კარგად აუბეს მხარი თბილისელმა სპორტსმენებმა კაშიამ და ალექსიძემ, აშკარად დაჯაბნეს მეტოქეები, რაც ანგარიშშიც აისახა — ყორყოლიანმა (ლელო), ლილუაშვილმა (საჯარიმო) და ძაგნიძემ (რეალიზაცია) ანგარიში 18-მდე გაზარდეს. სტუმრებმა კი მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთებზე შეძლეს ერთი საპასუხო ლელოს გატანა.

არანაკლებ დაძაბულად წარიმართა შეხვედრის მეორე ნახევარი. მეტოქეს ამჯერად ძლიერი ზურგქარი დაეხმარა და თამაშმა საქართველოს ნაკრების ნახევარზე „გადაინაცვლა“. 55-ე წუთზე ნიკოლაევმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა. ამ მომენტში, როცა უპირატესობას რსფსრ-ის გუნდი ფლობდა, ჩვეული ოსტატობით ითამაშა ბესიკ ლილუაშვილი. მან შესანიშნავი დრიბლინგი განახორციელა მარცხენა ფრთაზე, გასცდა ხუთ მეტოქეს და ბურთი ახალგაზრდა თანაგუნდელს ძოწენიძეს მიაწოდა, რომელმაც ეს ეფექტური შეტევა ლამაზად, ლელოს გატანით დააგვირგვინა. ძაგნიძემ რეალიზაცია გამოიყენა. მართალია, დარჩენილ 23 წუთში ნიკოლაევმა საჯარიმო დარტყმებით 9 ქულა შესძინა თავის გუნდს, მაგრამ საქართველოს ნაკრების გამარჯვებას ეჭვს აღარ იწვევდა.

გუშინ გუნდებმა დაისვენეს, დღეს კი ვანში ითამაშებენ საქართველოსა და ქუთაისის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. რიონისპირელთა ახალგაზრდული გუნდი ასპარეზობს უკრაინის ნაკრების ნაცვლად, რომელმაც ბოლო მომენტში უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე. გეგეჭკორში კი ერთმანეთს შეხვდებიან ქვეყნის ნაკრები და რსფსრ-ის გუნდი.

**თამაზ ხარაბაძე,**
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).
ქუთაისი.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურო**

სამუშაოდ იწვევს თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს საბინაო-საექსპლოატაციო უბნებში და საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივი მუშაობის წარმართვისათვის ინსტრუქტორ-მეთოდისტებს.

ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროს, პლეხანოვის გამზირი, 67.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05296